ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4403038

ნომერი: AR1665186

თარიღი : 01.03.2019

გაცემის თარიღი : 06.03.2019

გაცნობის თარიღი : 07.03.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , შალვა ნუცუბიძის ქუჩა N129ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე ცაავა პ/ნ 01024079038
- საქართველო, ქალაქი თბილისი, პეკინის გამზირი, N 10, ბინა 13

ნომენკლატურა :

- I კლასი
- საჩრდილობლის მოწყობა
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილია თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, ფასადის კორპორატიული ფერით ღებვის განხორციელების შესაძლებლობის თაობაზე.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-35 დადგენილებით დამტკიცებული სამსახურის დებულების მე-2 მუხლის ”ა” ქვეპუნქტის თანახმად, სამსახურის მიზანია მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ საზღვრებში ერთიანი საჯარო ხელისუფლების განხორციელება. ამავე დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის ”ე” ქვეპუნქტის შესაბამისად, სამსახურს თავის ფუნქციების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით უფლება აქვს განიხილოს შენობა-ნაგებობის ექსტერიერებისა და ინტერიერების პროექტები, მოახდინოს ფერთა შეთანხმება.
სამსახური ვალდებულია სრულად დაიცვას და გაითვალისწინოს საქართველოს მოქმედი ნორმატიული აქტების მოთხოვნები, მათ შორის „სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები.

საკითხის განხილვის შედეგად გაცნობებთ, რომ ვინაიდან საპროექტო ობიექტი ახლად აშენებული ჩამოყალიბებული იერსახის შენობაა და მისი ცვლილება მოითხოვს უფრომეტად ფრთხილ დამოკიდებულებას ამასთან ვინაიდან №1678848 ბრძანებით შეთანხმებული შენობა გათვალისწინებული იყო შერეული ფუნქციის ობიექტის (საცხოვრებელი, საოფისე, კომერციული) და საპროექტო სართულის ნიშნული პროექტის მიხედვით განკუთვნილი იყო ექსპლიკაციის ჩანაწერის მიხედვით საოფისედ ხოლო ამ ეტაპზე თქვენს მიერ დაგეგმილი სამუშაოებთ ხდება შენობის ამ ნაწილში ფუნქციის ცვლილება კაფე-რესტორანის მოწყობა , ამასთან ტერასის ფართი იცვლება გადახურულ ვერანდად რომელიც იანგარიშება კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობში და ამასთან დაგეგმილი სამუშაოები არ წარმოადგენ I კლასის შენობა-ნაგებობის სამშენებლო სამუშაოებს რომელიც წარმოებს ნე¬ბართვის მიღების გარეშე, და ადასტურებს წერილობითი ფორმით სამსახური.
ასევე გაცნობებთ :„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის "ე" ქვეპუნქტის შესაბამისად იმ შემთხვევაში თუ თქვენს მიერ დაგეგმილი სამუშაოები აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებით დამტკიცებული ,,შენობა–ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებს შესაძლებელია რეკონსტრუქცია განახორციელოთ მხოლოდ არსებული შენობის კლასის გათვალისწინებით

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა I კლასის რეკონსტრუქციის კუთხით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.